შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება

№ 00004784

15/05/2023

"შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის N19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

კოლეჯში განხორციელებული სიმულაციური ავტორიზაციის და კოლეჯის გაუმჯობესების გეგმიდან გამომდინარე სტრატეგიულ გეგმაში არსებულ ხარვეზთან დაკავშირებით საჭირო გახდა სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანა. იმის გათვალისიწინებით, რომ კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანისთვის საჭიროა სამუშაო ჯგუფის შექმნა, მისი შექმნის საკითხი განხილულ იქნა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ადმინისტრაციული პერსონალის 2023 წლის 27 იანვრის შეხვედრის N3 სხდომაზე, რის შემდეგაც გამოიცა კოლეჯის დირექტორის ბრძანება და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სამი სხდომა. სამუშაო ჯგუფის სხდომებზე მოხდა არსებული სტრატეგიული გეგმის განხილვა დაწვრილებით, შემუშავდა კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი (SWOT ანალიზი),სტრატეგიულ გეგმას დაემატა ინდიკატორები, დაიხვეწა ამოცანები და მათ შესაბამისად მიზნები. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის N19 ბრძანების სათაურში საჭიროა ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების და კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 09 თებერვლის N1, 2023 წლის 31 მარტის N2 და 2023 წლის 05 მაისის N3 ოქმების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს "შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2020 წლის 13 მარტის N19 ბრძანებაში შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ".

ბ) ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართის შესაბამისად.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი რუსუდან

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2020 - 2026

ისტორია

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით „შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი“(შემდგომში კოლეჯი) დაფუძნდა 2011 წელს და 2012 წელს გაიარა ავტორიზაცია. პროფესიული განათლების მორიგი რეფორმის შემდეგ სისტემაში დაიწყო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, საგნობრივი პროგრამების სწავლება მილევად რეჟიმში წარიმართა. კოლეჯის მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი პროგრამების ჩარჩო-დოკუმენტების შემუშავებაში. 2018 წელის 29 იანვარს კოლეჯმა წარმატებით გაიარა რევატორიზაცია საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსით და 6 წლის ვადით მოიპოვა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. ეს პროგრამები: ვეტერინარია, საექთნო განათლება, ფარმაცია. 2022 წელს შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოლეჯმა დაიმატა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დენტალური საქმის ასისტირება სტომატოლოგის ასისტენტი. აღნიშნული პროგრამა საქართველოში ხორციელდება პირველად და კოლეჯს გათავისებული აქვს პროგრამის აქტუალობის მნიშვნელობა.

მისია

კოლეჯის მისიაა მოამზადოს ჯანდაცვის და ვეტერინარიის სფეროში კვალიფიციური და მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან როგორც შიდა ქართლის რეგიონის, ასევე საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების სისტემას, პროფესიული სტუდენტებისთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს მათ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას.

ხედვა

2026 წლისათვის კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით მაღალკვალიფიციურ და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადებას. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:
ჯანდაცვისა და ვეტერინარიის სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
სამუშაოს მაძიებლებისა და დასაქმებულთათვის მაღალი ხარისხის მომზადების, გადამზადების, სტაჟირების სასერთიფიკატო პროგრამების შეთავაზება.

ღირებულებები:

გუნდურობა - გუნდურ მუშაობაზე ორიენტირებული ჯგუფი;
მოქნილობა - გამოწვევების ეფექტური მართვა;
ხარისხზე ორიენტირება - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე მოთხოვნილი ხარისხი;
თანამშრომლობა - ღიაა თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
გამჭვირვალობა - ღია და საჯარო მიდგომები კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესში;
სამართლიანობა - კოლეჯში მიღებული გადაწყვეტილებები, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს;
სოციალური პასუხიმგებლობა - კოლეჯი ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

SWOT ანალიზი

	S – ძლიერი მხარეები	**W – სუსტი მხარეები**	

შიდა ფაქტორები	➢ საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება და რეპუტაცია ➢ პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების მდგრადობა; ➢ სასწავლო მიზნებისთვის საჭირო მატერიალური ტექნიკური ბაზა; ➢ კვალიფიციური კადრი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი ხარისხით გასახორციელებლად; ➢ სკკ ასოციაციას ფარგლებში კერძო კოლეჯებთან მჭიდრო ურთიერთობა; ➢ შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად ჯანდაცვის მიმართულების მოთხოვნადი პროფესიები; ➢ ადმინისტრაციული რგოლის მაღალი მოტივაცია; ➢ პროფესიულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა მაღალი მოთხოვნა/ მაჩვენებელი; ➢ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი; ➢ პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი და უსაფრთხო გარემო; ➢ სტუდენტური თვითმმართველობა და აქტიური სტუდენტური ცხოვრება.	➢ საერთაშორისო დამსაქმებლებთან და შრომის ბაზართან ნაკლები ურთიერთობა; ➢ საერთაშორისო პარტნიორებთან ნაკლები თანამშრომლობა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების ნაკლებობა; ➢ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; ➢ ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს განვითარება.
	O – შესაძლებლობები	**T – საფრთხეები**
გარე ფაქტორები	➢ კოლეჯის პროფესიული პროგრამები დაფინანსებულია და აქვს მუდმივი ვაუჩერის სახით; ➢ კოლეჯს შესაძლებლობა აქ შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტებს თემატური შეხვედრები და სხვა გასვლითი - სასწავლო თუ შემეცნებითი ექსკურსიები და სხვა; ➢ შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება ახალი პროფესიული პროგრამების დანერგვით; ➢ მატერიალური რესურსების ეფექტიანად	➢ გადამზადებული კადრების გადინება საზღვარგარეთ; ➢ საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენციის ზრდა; ➢ საზოგადოებაში განათლებასა და მისი მიღების საჭიროებასთან დაკავშირებული ცნობიერებ ის დაბალი დონე; ➢ მუდმივი ფასების ზრდა მასალა ნედლეულისა და საჭირო ინვეტარისათვის; ➢ სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;

	გამოყენება და გაუმჯობესება; ➢ სწრაფვა მუდმივიგანვითარებისთვის; ➢ პარტნიორი დაწესებულებების ქსელის გაფართოვება შიდა ქართლში და საერთაშორისო შრომით ბაზარზე; ➢ პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.	➢ არამდგრადი რეფორმები და ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები.	

სტრატეგიული მიზანი 1. კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის განვითარება;									
ამოცანა	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
1.1. კოლეჯის ინფრასტრუქტურის განახლება/გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად	X	X	X	X	X	X	X	• კოლეჯის ინფრასტრუქტურა განახლებულია/ გაუმჯობესებულია მინიმუმ25%-ით; • პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე;	• დირექტორი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • ადმინისტრაციის ხელმძღვანელი • ბუღალტერი

1.2. პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება მოთხოვნების შესაბამისად	X	X	X	X	X	X	X	• 2026 წლისთვის კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლებულია/ გაუმჯობესებულია მინიმუმ 25%-ით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით; • პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე;	• დირექტორი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • ადმინისტრაციის ხელმძღვანელი • ბუღალტერი
1.3 კოლეჯში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	X	• უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებული ტრენინგები და სიმულაციური სავარჯიშოები; • უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად იდენტიფიცირებულია საჭიროებები და მომხდარია შესაბამისი რეაგირება; • რისკები შეფასებულია (საჭიროებისამებრ)არაუგვიანეს ექვსთვეში ეთხელ; • კოლეჯში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლიფტი; • კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია დასკვნა კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოების და შენობის მდგრადობის შესახებ.	• დირექტორი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • ადმინისტრაციის ხელმძღვანელი • ბუღალტერი • უსაფრთხოების სპეციალისტი
1.4.საინფორმაციო ტექნოლოგიების და საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესება/განვითარება	X	X	X	X	X	X	X	• 2026 წლისთვის კოლეჯის კომპიუტერული აუდიტორიების ინფრასტრუქტურა გუმჯობესებული მინიმუმ 35 %-ით; • პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე;	• დირექტორი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • ადმინისტრაციის ხელმძღვანელი • ბუღალტერი • IT მენეჯერი

სტრატეგიული მიზანი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ამოცანა	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
2.1 ფარმაცია (საფთიაქო)და საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა	X							• პროფესიული სგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება კვოტის გაზრდის შესახებ; • კვოტა გაზრდილია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.	• დირექტორი • იურისტი • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • პროგრამის ხელმძღვანელი
2.2 ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა		X						• პროფესიული სგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება კვოტის გაზრდის შესახებ; • კვოტა გაზრდილია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;	• დირექტორი • იურისტი • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • პროგრამის ხელმძღვანელი
2.3.შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის,გადამზადების და/ან სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და დანერგვა	X	X	X	X	X	X	X	• პროფესიული სგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) დამატების შესახებ; • შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე ჯანდაცვისა და ვეტერინარიის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო მომზადება-გადამზადების პროგრამა შემუშავებულია და განხორციელების უფლება მოპოვებულია (იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოლეჯი)	• დირექტორი • იურისტი • დირექტორის მოადგილე • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • პროგრამის ხელმძღვანელი/ები
2.4. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შდეგების ინტეგრირება საშუალო დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებასთან დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი)					X			• პროფესიული სგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შდეგებთან ინტეგრირების შესახებ.	• დირექტორი • იურისტი • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • პროგრამის ხელმძღვანელი

2.5. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე				x				• პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება მინიმუმ ერთ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე კვოტის გაზრდის შესახებ.	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • პროგრამის ხელმძღვანელი/ები
2.6. ეფექტური მექანიზმების განვითარება კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების ადმინისტრირებისთვის	x	x	x	x	x	x	x	• პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტებთან. • კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე;	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი
			x					• შემუშავებული და დანერგილია ელექტრონული შეფასების სისტემა, რომელიც გაზიარებულია დაინტერესებულ პირთათვის.	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი •IT მენეჯრი
2.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია			x	x	x	x	x	• ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 1 ღონისძიება; • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) მიმართ საზოგადოების ინტერესი გაზრდილია; • კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მომართვიანობა გაზრდილია 10%-ით;	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • PR, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
2.8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა			x	x	x	x	x	• ყოველწლიურად გაზრდილია კოლეჯის/პროგრამული ბიუჯეტი (მინიმუმ 10%-ით). • კოლეჯი მონაწილეობს საგრანტო პროექტებში/პროექტებში, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერას და გაუმჯობესებას .	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • ხარისხის მენეჯერი • ფინანსური მენეჯერი

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფა

ამოცანა	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
3.1. ხარისხის შიდა მექანიზმზე დაყრდნობით კოლეჯის საქმიანობის თვითშეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით	x	x	x	X	x	X	x	• კოლეჯის მიერ მომზადებულია ყოველწლიური თვითშეფასების დოკუმენტი; • ხარისხის მენეჯერის მიერ შემუშავებულია განვითარების გეგმა;	• დირექტორი • ხარისხის მენეჯერი • იურისტი • პროგრამების ხელმძღვანელები
3.2. ხარისხის შიდა მექანიზმზე დაყრდნობით კოლეჯის საქმიანობის შეფასება დაინტერესებულ პირთა მიერ	X	X	X	X	X	X	X	• ჩატარებულია კვლევები (პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტი, კურსდამთავრებული და სხვ.) • ჩატარებული კვლევების შედეგები გაანალიზებულია; • ხარისხის მენეჯერის მიერ შემუშავებულია დასკვნები და რეკომენდაციები გაუმჯობესების მიზნით;	• დირექტორი • ხარისხის მენეჯერი • იურისტი • პროგრამების ხელმძღვანელები
3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასება გარე აქტორების მიერ				X				კოლეჯში განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებების დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია კოლეჯის მიერ.	• სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტები • ხარისხის მენეჯერი

3.4. მილევადი საგნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული ექსპერტიზა	X	X						• პროგრამების სწავლის შედეგები მიღწეულია პროფესიული სტუდენტების მიერ; • 80% კურსდამთავრებული დასაქმებულია; • ჩატარებულია გამოკითხვები (პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის გამოკითხვები) • კვლევის შედეგები გაანალიზებულია ხარისხის მენეჯერის მიერ.	• დირექტორი • იურისტი • ხარისხის მენეჯერი • სასწავლო პროცესის მენეჯერი • პროგრამის ხელმძღვანელი

სტრატეგიული მიზანი 4. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სერვისების და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა

ამოცანა	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
4.1 პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის სწავლის პროცესის მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება	X	X	X	X	X	X	X	• პროფესიულ სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 5 საინფორმაციო ხასიათის ღონისძიება; • საჭიროებისამებრ კონსულტაციები უზრუნველყოფილია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის; • პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მიეწოდებათ განმავითარებელი რეკომენდაციები თითოეული მოდულის ფარგლებში. • პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების სისტემა (ვალიდაცია/	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • სასწავლო პროცესის მენეჯერი • იურისტი • პროფესიული განათლების მასწავლებლები
4.2 ექსტრაკურიკულური ინიციატივების მხარდაჭერა პროფესიულ სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის	X	X	X	X	X	X	X	• წელიწადში მინიმუმ ერთხელ ჩატარებულია ექსტრაკურიკულური აქტივობები პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის (ექსკურსიები /კონფერენციები /მასტერკლასები/ კონკურსები /და სხვა).	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • სასწავლო პროცესის მენეჯერი • PR, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
4.3 პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს ფუნქციონირების ხელშეწყობა და წახალისება			X	X	X	X	X	• კოლეჯის მიერ ყოველწლიურად დაფინანსებულია მინიმუმ 1 პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის პროექტი.	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • სასწავლო პროცესის მენეჯერი • PR, პროფორიენტაციისა და
4.4. კოლეჯის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება				X	X	X	X	• დაორგანიზებულია შეხვედრები უცხოელ პარტნიორებთან (მინიმუმ 1 შეხვედრა წელიწადში); • კოლეჯის ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია(გადათარგმნილია ინგლისურ ენაზე) საერთაშორისო პარტნიორებისთვის; •2026 წლამდე გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება/მემორანდუმი მინიმუმ ერთ უცხოურ დამსაქმებლებთან.	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
4.5. კარიერული სერვისების განვითარება პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით	X	X	X	X	X	X	X	• ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების კვლევა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; • პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის გაწეულია ინდივიდუალური კონსულტაციები; • კოლეჯი მონაწლეობს დასაქმების ფორუმებში (მინიმუმ ერთხელ წელიწადში); • ყოველწლიურად კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით კურსდამთავრებულთათვის განხორციელებულია მინიმუმ 1 ღონისძიება.	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • სასწავლო პროცესის მენეჯერი • PR, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
4.6. სსსმ/შშმ პირებისთვის სერვისების გაუმჯობესება	X	X	X	X	X	X	X	2026 წლისთვის სსსმ/შშმ პირებისთვის სერვისები(მათი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე) გაუმჯობესებულია 20%-ით.	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • სასწავლო პროცესის მენეჯერი • ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი
4.7. პროფორიენტაციის მიზნით ღონისძიებების განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	. ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 10 ვიზიტი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფორიენტაციის მიზნით; •2026 წლამდე პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ელჩების ინსტიტუტი დანერგილია კოლეჯში; • უზრუნველყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მსურველთა (აპლიკანტთა) ინფორმირება და მათი მხარდაჭერა.	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • PR, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
სტრატეგიული მიზანი 5. კოლეჯის ადამიანური რესურსის განვითარება									
ამოცანა	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026		პასუხისმგებელი პირი

5.1. კოლეჯის მართვის სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესება		X	X	X	X	X	X	· ყოველწლიურად ჩატარებულია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროების კვლევა; · საჭიროების კვლევის საფუძველზე ყოველწლიურად გადამზადებულია კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი (მინიმუმ 10%); · პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე;	· დირექტორი · დირექტორის მოადგილე · პერსონალის მართვის მენეჯერი · ფინანსური მენეჯერი

5.2. პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება		X	X	X	X	X	X	• ყოველწლიურად ჩატარებულია კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროების კვლევა; • პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობის შეფასების სისტემა გაუმჯობესებულია; • ყოველწლიურად გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებლების მინიმუმ 15% საჭიროებათა კვლევის საფუძველზე; • პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება გაზრდილია 100%-მდე;	• დირექტორი • დირექტორის მოადგილე • პერსონალის მართვის მენეჯერი • ხარისხის მენეჯერი • ფინანსური მენეჯერი